

## კვირის მთავარი მიზნები

18-24 აგვისტოს პერიოდში შემდეგი ტენდენციები გამოვლინდა:


- ძალადობისკენ მოწოდებას რესპონდენტები ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენელთა მიმართ მიმართავენ;
- ქსენოფობიურ განცხადებებს ყოფილი შინაგან საქმეთა მინისტრი [კახა თარგამაძე] საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილების

კონტექსტში მიმართავენ, რომლითაც მას საქართველოს მოქალაქეობაზე უარი ეთქვა;

- სექსუალური იდენტობის დაუსაბუთებელი იდენტიფიცირება პოლიტიკურ სპეკულაციებს უკავშირდებოდა. მონიტორინგის ქვეშ მყოფ მედია საშუალებებში როგორც რესპონდენტების,

გაგრძელება გვ. 2

## # 23, 18-24 აგვისტო



## საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭო სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილებას აკრიტიკებს

22 აგვისტო საზოგადოებრივი მაუწყებლის მონიტორინგის საბჭომ მაუწყებლის თვითრეგულირების საბჭოს ეფექტურობაზე იმსჯელა და განიხილა სამეურვეო საბჭოს 18 ივნისის გადაწყვეტილება არასამთავრობო ორგანიზაციების საჩივარზე, რომელიც პირველი არხის ეთერით, იერუსალიმიდან წინასააღდგომო ცეცხლის გადმოსვლის ტრადიციის აღსანიშნავი ღონისძიების კომენტარებისას, სიძულვილის ენის შემცველ განცხადებებს შეეხებოდა.

მონიტორინგის საბჭომ გაიზიარა განმცხადებელი არასამთავრობო ორგანიზაციების პოზიცია, რომ სამეურვეო საბჭომ გადაწყვეტილების მიღებისას გამოხატვის თავისუფლების ინტერპრეტაცია მოახდინა და გვერდი აუარა მის მთავარ ფუნქციას - ემსჯელა ქვეყნის კოდექსის ფარგლებში.

9 არასამთავრობო ორგანიზაციამ და ერთმა ფიზიკურმა პირმა მაუწყებლის თვითრეგულირების ორგანოს საჩივრით 24 აპრილს მიმართეს, რომლითაც არხს ქვეყნის კოდექსის ანტიდისკრიმინაციული დებულებების დარღვევას ედავებოდნენ.

## შინაარსი

ძალადობისკენ მოწოდება	2
სექსუალური იდენტობის უსაფუძვლო იდენტიფიცირება	3
ქსენოფობია	3
კომოფობია	3-4
კაზანტიპი	4
ანტიდასავლური განწყობები	5-6

## კვირის მთავარი მიზნებები

ასევე მედიის მხრიდან მინიშნება კეთდებოდა ინტერნეტ პორტალ "ექსკლუზივ ნიუსის" გავრცელებულ მცდარ ინფორმაციაზე, თითქოს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლის, გიორგი ვაშაძის ძმა ერთსქესიან ქორწინებაში იმყოფებოდა. ანალოგიურ დაუსაბუთებელ მინიშნებებს სექსუალურ იდენტობაზე მედია ["ასავალ-დასავალი"] მმართველი გუნდის წარმომადგენლების [ლევან და დავით ბერძენიშვილები] მიმართ გამოხატავდა;

- ხდებოდა ჰომოსექსუალობის ნაციონალურ მოძრაობასთან [რეზო ამაშუკელი, პოეტი; "ასავალ-დასავალი"], კაზანტიპის ფესტივალთან [თემურ შაშიაშვილი, თეთრები; ზაზა

მიმინოშვილი, ჯგუფი "შინი"] და დასავლეთთან გაიგივება [geworld.ge, ავთანდილ უნგიაძე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი];

- ანტიდასავლურ განწყობებს ჰომოფობიურ კონტექსტში აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი [დიმა ჯაიანი] აღვივებდა;
- ანტიდასავლური განწყობები ასევე ამერიკის საგარეო პოლიტიკასთან და პრეზიდენტ სააკაშვილის საშინაო პოლიტიკასთან დაკავშირებით იჩენდა თავს.

## კალაღობისკენ მოწოდება

**ასავალ-დასავალი, 18-24 აგვისტო**

**ტრისტან ფითელაშვილი, სამხედრო ექსპერტი, პოლკოვნიკი:** "თუ ისინი რამეს გაბედავენ, პირადად მე, ტრისტან ფითელაშვილი, ჩემი თანამებრძოლებით დავუპირისპირდები და სანამ ბოლო ნაციონალს ფიზიკურად არ გავანადგურებ, მანამდე არ დავანებებ თავს!"

**პრადიმ-ტაიმი, 18 აგვისტო**

**გია კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი:** „ქუჩაში მოსიარულე ნებისმიერი ნაციონალი შეიძლება ვიღაცის გინებისა და ხელის გარტყმის საგანი გახდეს. მაგრამ აქ მთავარი გამომწვევი მიზეზი არის ის, რომ ის ნაციონალია..."

მე და საქართველოზე ჩემზე მეტად შეყვარებულ ადამიანებს სულ, რომ ქვით გამოსვლა დაგვჭირდეს, უკან არ დავიხევთ. არ მივცემთ ნაციონალებს ხელისუფლებაში დაბრუნების უფლებას, ცხვირ-პირს დავუმტვრევთ მათ, ვისაც მოუნდება, რომ კიდეც მოვიდეს ხელისუფლებაში... ყველაფერს ვფიცავ, თუ წვეტიანი ქვით არ გამოვიდე და ჩემი სათქმელი არ ვუთხრა მათ პირადად.“

## სემსუალური იდენტიფიკაციის უსაფუძვლო იდენტიფიკაცია

ასავალ-დასავალი, 18-24 აბვიტო

თავისი გარემოცვის გამო.  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2396795](http://www.myvideo.ge/?video_id=2396795)

**დიტო ჩუბინიკი** ჟურნალისტი: „კი,

ბატონო, სააკაშვილის მარაქაში

გარეულთაგან ცნობილი ბევრზე ბევრია...  
ზოგი - ძმის გათხოვებით.“

ასავალ-დასავალი, 18-24 აბვიტო

**დიტო ჩუბინიკი** ჟურნალისტი: „ლევან

ბერძენიშვილი რით დაამახსოვრებს  
ქართველ საზოგადოებას თავს -

„ბაყაყებისა და თავგების ომით“ თუ  
იმით, რასაც ასე ხატოვნად ამბობს

ბატონი რეზო ამაშუკელი -

ბერძენიშვილები ციხეში შევიდნენ  
როგორც ძმები და ციხიდან გამოვიდნენ,  
როგორც დები!...“

ოზიქტივი ღამის სტუდია,  
21 აბვიტო

**რეზო ამაშუკელი**, პოეტი: „ფაქტიურ-  
ად შექმნა აი, ეს საშინელების მანქანა, ამ  
პატარა ცვედანმა და მე დიდი ეჭვი მაქვს,  
რომ ეგ თავისი სექსუალური  
ორიენტაციით გადახრილი იყო, მე  
ადეიშვილზე [ზურაბ ადეიშვილი,  
იუსტიციის ყოფილი მინისტრი] მაქვს  
ლაპარაკი, და ამის მტკიცება შემძლია მე

## ქსენოფობია

მამსტრო, მამსტროს ცხრიანი, 18 აბვიტო

**კახა თარგამაძე**, შსს-ს ყოფილი მინისტრი: „ეტყობა თურქები, ინდოელები,  
არაბები უფრო განსაკუთრებული მნიშვნელობის არიან ქვეყნისთვის. რუსეთის  
მოქალაქე ვარ და ვიქნები რუსეთის მოქალაქე. ქართველებმა იკითხეთ, ესეთი  
პრეზიდენტი რომ გყავთ, თორემ მე რა მენაღვლება.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2395135](http://www.myvideo.ge/?video_id=2395135)

## კომოფობია

რეპორტიორი, 18 აბვიტო

**რეზო ამაშუკელი**, პოეტი: „რაც  
შეეხება გერმანოფობიას აკაკი მინაშვილს,  
მაგას რა უფლება აქვს საერთოდ პირი  
გააღოს?!..“

ძალიან კარგად მახსოვს როგორ  
დასდევდნენ მას უკან ეს ხურუშიანი  
პიდარასტები, ჩემ თვალწინ ჩაიარა ამ  
ყველაფერმა. მაგათგან ხო არცერთი კაცი  
არ არის.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=36235>

ასავალ-დასავალი, 18-24 აბვიტო

**ჯაბა ხუბუა**, ჟურნალისტი: "დიახ,  
ამ ქვეყანაში ნაციონალური მოძრაობის  
წევრობა ღამის მამათმავლობის დარ  
ცოდვად და სირცხვილად ითვლება და  
ვაშაძე და ძმანი მისნი სულ რომ  
ნაკერავზე გაიხნენ, ქართველი ხალხის ამ  
განწყობას ვერაფერს მოუხერხებენ!“



**კახა თარგამაძე**, შსს-  
ს ყოფილი მინისტრი:

„ეტყობა თურქები,  
ინდოელები, არაბები  
უფრო განსაკუთრებული  
მნიშვნელობის არიან  
ქვეყნისთვის. რუსეთის  
მოქალაქე ვარ და ვიქნები  
რუსეთის მოქალაქე.  
ქართველებმა იკითხეთ,  
ესეთი პრეზიდენტი რომ  
გყავთ, თორემ მე რა  
მენაღვლება.“

გაგრძელება გვ. 4

## ჰომოფობია

ასავალ-დასავალი, 18-24 აგვისტო

**ზაალ შვანია, პოლიტპატიმრები მამულისთვის:** „ტელევიზიებმა კი, ჰომოსექსუალისტებზე საუბარს, ჯობია ადგილი დაუთმონ იმ ადამიანებს, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებულნი იყვნენ და თავისი ადამიანობა არ დაუკარგავთ.“

ასავალ-დასავალი, 18-24 აგვისტო

**ირინა სარიშვილი, იმედი:** „არცერთ ოჯახს არ გაუხარდება არატრადიციული ორიენტაციის მქონე ადამიანი რძლად ან სიმედ, ამიტომ, რაც არ მინდა ჩემს სახლში ხდებოდეს, არ მინდა, სახელმწიფოში დაკანონდეს.“

## კაზანტიპი

ასავალ-დასავალი, 18-24 აგვისტო

**თემურ შაშიაშვილი, თეთრები:** „როგორც ყირიმელმა კაზაკებმა ამიხსნეს, „კაზანტიპის“ დროს კაცი კაცთან რომ მივიდეს, რაღაც უნდა გიქნაო, მას უარის თქმის უფლება არა აქვს. ასეთი საშინელებაა ეგ „კაზანტიპი“.“

**რეპორტიორი, 19 აგვისტო**  
**მალსაჯი ჭანტური, დეკანოზი:** "ჩვენ მოვუწოდებთ ყველას, ამ სოდომ-გომორში, რომელსაც "კაზანტიპი" ჰქვია, ქართველებმა არ მიიღონ მონაწილეობა".

**კავკასია, ღღე, 20 აგვისტო**  
**ავთანდილ უნგიაკე, მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი:** „ეს რომ გარყვნილებაა (კაზანტიპი) ამაზე ბევრი საუბარი არ გვინდა... ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხელს შეუწყობს სა-

ქართველოს გახრწნას, გარყვნას, სოდომ-გომორიზაციას და დიდ ბორდელად გადაქცევას, როგორც ჩანს, ეს მიზანია საზოგადოდ და ამ დაკვეთას ასრულებს ხელისუფლება თავის წინამორბედის მსგავსად.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2397471](http://www.myvideo.ge/?video_id=2397471)

**მამესტრო, მამესტროს ცხრიანი, 20 აგვისტო**  
**ზაზა მიმინოშვილი, ჯგუფი "შინი":** „ყოველ წელიწადში იქნება 17 მაისი [საუბრობს კაზანტიპზე] და დროულად ვიფიქროთ ხოლმე ამაზე, რომ არ დავაგვიანოთ ხოლმე.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2397380](http://www.myvideo.ge/?video_id=2397380)

**რეპორტიორი, 20 აგვისტო**  
**აყიის მონაწილეები:** „ჩვენ ხელისუფლებისგან მოვითხოვთ, რომ არ დაუშვას ეს გარყვნილება, რადგან ქვეყანაში, სადაც მართლმადიდებლობას ქადაგებენ, არ შეიძლება ასეთი ამორალური ფესტივალების ჩატარება.“

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=36349>

**რეპორტიორი, 20 აგვისტო**  
**კაზანტიპის მოწინააღმდეგეთა განცხადება**  
**არამიძის:** „კაზანტიპი“ არის ნარკომანია, მამათმავლობა, დედათმავლობა, მოზარდი თაობის გახრწნისა და სხვა ენით აუწერელი გარყვნილების სივრცე“...

<http://www.reportiori.ge/?menuid=3&id=36355>

**კავკასია, ღღე, 20 აგვისტო**  
**კაზანტიპის ფესტივალის საქართველოში ჩატარების წინააღმდეგ აყიის მონაწილეები:** „საქართველო ისეთი კუთხეა, ისეთი წმინდანის ადგილებია აქა, რომ მაგათი ადგილი არ შეიძლება იყოს. ჩვენ მოვითხოვთ რომ საერთოდ წავიდნენ ეგ გეიები და ეგ, მართლა არ მინდა რა, უკვე ცუდი სიტყვები ვთქვა“.

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2397471](http://www.myvideo.ge/?video_id=2397471)

## ანტიდასავლური განწყობები

ასავალ-დასავალი, 18-24 აპრილი

**ლიმა ჯაიანი, აფხაზეთის განათლებისა და კულტურის მინისტრი:**

„ბოდიში და, პედერასტობა არ არის ევროპა! და თუ ევროპა პედერასტობაა, მაშინ მე არ მინდა ასეთი ევროპა!“

ასავალ-დასავალი, 18-24 აპრილი

**პასა კუპაგა, თავისუფალი საქართველო:**

„ჩვენ ნახევრად კოლონია ვართ და ფინანსურად, იდეოლოგიურად და კიდევ ბევრი სხვა კუთხით დასავლეთზე ვართ დამოკიდებული. ამიტომაც ის კარლ ბილდტი გააკეთებს იმას, რაც გამსახურდიას და შევარდნაძეს გაუკეთეს!“

ოპიუმტივი ღამის სტუდია, 23 აპრილი

**არჩილ ყყოიკი, ევრაზიული არჩევანი:**

„(ქართული ჯარები ავღანეთში) ასრულებენ ამერიკის შეერთებული შტატების დავალებას, მათ სჭირდებათ საზარბაზნე ხორცი, ამერიკელებს სჭირდებათ იქ საზარბაზნე ხორცი...“

რომელი ჯობდა? ყოფილიყო იქ სადამ

ჰუსეინის რეჟიმი, სადაც ხალხი ცხოვრობდა?.. არავის არ კლავდნენ... სტატისტიკა გამოვიტანოთ და შევადაროთ, რამდენი ადამიანი მოკვდა ჰუსეინის რეჟიმის დროს და რამდენი მოკვდა იქ ამერიკის შეერთებული შტატების შეჭრის შემდეგ...

სირიაში მხარს უჭერდნენ ამერიკელები იმ მემბოხეებს, რომლებიც ქრისტიანებს წვავდნენ, ხალხს, რომელიც ადამიანების ორგანოებს ჭამდნენ."

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2399487](http://www.myvideo.ge/?video_id=2399487)  
[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2399487](http://www.myvideo.ge/?video_id=2399487)

GEWORLD.GE,  
20 აპრილი

**კამლბეტი შიკაგოელი, პოლიტოლოგი:**

„ის, რასაც წლების განმავლობაში სააკაშვილი აკეთებდა, აშშ-ის ელჩებმა მშვენივრად იცოდნენ, მაგრამ ხმას არ იღებდნენ. მათი პირდაპირი დავალება იყო, საზოგადოება გარყვნოდა ილიყო, ამისთვის საუკეთესო კანდიდატი სააკაშვილი გახლდათ, ის ბუნებით ისედაც გარყვნილი და «გადაქანებულია»... სააკაშვილს ურთიერთობა გავლენიან ჯგუფებთან ჰქონდა და, რასაც აკეთებდა, ამერიკელთა

დაკვეთა იყო. ამბოხებულების, ანუ «ალქაიდას» შეიარაღება ამერიკის ინტერესებში იყო, ამას აკეთებდნენ ნატოს წევრი ქვეყნებიც. ასე რომ, ყველა დანაშაული, რომლებიც კი სააკაშვილს ჩაუდენია, აშშ-ის ხელდასხმით ხდებოდა.“

<http://www.geworld.ge/View.php?ArtId=6129&lang=ge>

ასავალ-დასავალი, 18-24 აპრილი

**ლიტო ჩუბინიკი**

**ჟურნალისტი:** „არც ქართველებმა და არც მაშინდელი მსოფლიოს სულგაყიდულმა ლიდერებმა არ დაინდეს და არ დაიცვეს კაცი [ზვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრეზიდენტი], რომელიც სულ რაღაც ექვსი თვის გაპრეზიდენტებული იყო და დღეს კარლ ბილდტები, ბილწები თუ ეშმაკთან წილნაყარები სულს უბერავენ, ელოლიავებიან და გაწიწმატებულები იცავენ სამარცხვინო და სინდისდაკარგულ მიხეილ სააკაშვილს!“

გაგრძელება გვ. 6



## ანტიდასავლური განწყობები

GEWORLD.GE, 20 აპრილი

**გიორგი ბაჩყალიძე, ჟურნალისტი:** „მაგრამ, «კაზანტიპო» რომ უარი თქვან, დასავლელი ლიბერალები და აქაური ლიბერალტები შემოფოტდებიან, იმის ემინიათ, \_ ე, მანდ, დემოკრატიის ღალატი და რუსეთის მოკავშირეობა არ დაგვწამონო (რუსეთმა ხომ პედერასტების პროპაგანდა აკრძალა, რაც დიდ «ცოდვად» ჩაუთვალეს მას ჩვენმა ევროპელმა დამრიგებლებმა!).“

ინტერპრესნიუსი, 20 აპრილი

„უნდაძის შეფასებით, "კაზანტიპის" ფესტივალი დასავლეთის დაკვეთაა. მისივე თქმით, სწორედ დასავლეთის დაკვეთით მოხდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება და ხდება უცხოეთის ქვეყნის მცოცავი რელიგიური ანექსია საქართველოში... აქციის მონაწილეები მიმართავენ პრემიერ-მინისტრს, თუ დასავლეთის დაკვეთა საქართველოს როგორც მართლმადიდებლური და ეროვნულ-ტრადიციული სახელმწიფოს ძირეულ ინტერესებს ეწინააღმდეგება, რისი ნიშნებიც აშკარად იგრძნობა, პრემიერ-მინისტრს უსათუოდ მოუწევს მკაფიო არჩევანის გაკეთება.“

<http://www.interpressnews.ge/ge/sazogadoeba/294153-qkazantipisq-motsinaaghdgeebi-irakli-gharibashvils-mimarthvas-ugzavnian.html?ar=A>

ოზიმატივი ღამის სტუდია, 23 აპრილი

**ტილმაყურებელი:** „ევროკავშირიც და ნატოს ქვეყნები ამაზე თვალს ხუჭავდნენ და ეხლაც ხუჭავენ იმაზე, რომ ადამიანის უფლებები, ამომრჩევლების, არის დისკრიმინირებული და დისკრიმინაციას მხოლოდ და მხოლოდ იყენებს თავის სასარგებლოდ ელჯიბიტეები და სექსუალური უმცირესობები...“

ნატო უკვე აღარც მაინტერესებს, იმიტომ რომ ნატომ განიცადა დეგრადაცია რუსეთთან მიმართებაში და არც ევროკავშირში..“

ოზიმატივი ღამის სტუდია, 23 აპრილი

**ტილმაყურებელი:** „ამერიკა, ჩემი აზრით, არის საქართველოს ოკუპანტი, ოღონდ იდეოლოგიური ოკუპანტი, იმიტომ რომ თუ რამე თქვა, ვთქვათ, ღარიბაშვილმა ან ვინმემ, ეგრევე გამოზრძანდება ბატონი ელჩი და აკეთებს კომენტარებს, გვასწავლის ჭკუას. ჩვენ, ჩვენ თავს არ ვეკუთვნი...“

რუსეთის რომ უკვირთ, რომ ამბობს ჩემი ტერიტორია უნდა დავიცვაო, თუნდაც უკრაინის ტერიტორიაზე და რომ არი ერთი ამბავი ატეხილი, ბარაკ ობამაც ბრძანა, მეო, ერაყში მოსახლეობა უნდა დავიცვაო, რა მოსახლეობას იცავს ერაყში? რუსეთი თუ იცავს, იცავს თავის რუსს.“

[http://www.myvideo.ge/?video\\_id=2399495](http://www.myvideo.ge/?video_id=2399495)